ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N30

24.05.2019 *ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2*
11:30 საათი *ოთახი N2-01*

მიმდინარე წლის 24 მაისს, 11:30 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გიორგი ჩაკვეტაძე** (კომისიის თავმჯდომარე), **დავით ჭელიძე** (კომისიის წევრი), **ლევან ჯაფარიძე** (კომისიის წევრი), **ავთანდილ ცინცაძე** (კომისიის წევრი), **დავით რურუა** (კომისიის წევრი) **შალვა ოგბაიძე** (კომისიის წევრი) და **მარინა დათუკიშვილი** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი **გაიოზ თალაკვაძე**, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის *კულტურის, განათლების სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი* **ირაკლი გვილავა**, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 7 (შვიდი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე -**გიორგი ჩაკვეტაძე**

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(22.05.2019, 12-031914291-03)* (მომხსენებელი: **გაიოზ თალაკვაძე**, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი)
2. **დედაქალაქში სპორტული ინფრასტრუქტურის (თბილისის მინი სტადიონები) საკანონმდებლო ჩარჩოს მოწესრიგების მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ მოკვლევის დაწყების**

თაობაზე. (მომხსენებელი: გიორგი ჩაკვეტაძე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე)

3. მიმდინარე საკითხები - არსებული პროექტების პრეზენტაცია - მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები (მომხსენებელი: ირაკლი გვილავა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ,,ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ინფორმაცია, რომელიც წარადგინა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა.

გაიოზ თალაკვაძე: ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 12 000,0 ათასი ლარით. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკრებულოსგან საკრედიტო ხაზის გაზრდის კუთხით აღებული გვაქვს ნებართვა, ვიდრე ცენტრალური მთავრობიდან ჩაირიცხება სპეციალური ტრანსფერი, რომელიც მთლიანად მიმართულია ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბიუჯეტი იზრდება და შეადგენს 1 075 101,8 ათას ლარს.

ინფრასტრუქტურის ნაწილში რეაბილიტაცია უნდა ჩაუტარდეს: გლდანში, შეშელიძის ქუჩას მეტროს ვაგონებს. ასევე, მიმდინარე გაზის აფეთქებების შემთხვევების გათვალისწინებით, იგეგმება მერის სარეზერვო ფონდის ზრდა, ვინაიდან მოსახლეობის ქირით გაყვანის თანხების ანაზღაურება აღნიშნული ფონდიდან განხორციელდა. ამის გარდა, მიმდინარეობს თანხების შიდა გადანაწილება.

რაც შეეხება სპორტისა და ახალგაზრდულ მიმართულებებს, ცვლილებებია შემდეგ პროგრამებში: სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) ასიგნებები იზრდება 78,9 ათასი ლარით. აღნიშნული თანხა მოხმარდება, ვარკეთილში რაგბის მოედნის მშენებლობას. მშენებლობისთვის ჯამში გათვალისწინებულია 800,0 ათასი ლარი. 78,9 ათასი ლარის გარდა, დარჩენილი თანხა დაბალანსდება შიდა ეკონომიების ხარჯზე. ასევე, იზრდება ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) 490,0 ათასი ლარით, რაც მოხმარდება კოჯორში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს.კ 81.01.19.996) ახალგაზრდული კომპლექსის მშენებლობისთვის პროექტის შეძენას (260,0 ათასი ლარი) და „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“-ს სამგორის ფილიალის რეაბილიტაციას (230,0 ათასი ლარი).

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე: წარმოდგენილი საკითხი გახლავთ ბიუჯეტში ცვლილება, რომელიც ჩვენი მიმართულებით ორ პროგრამას მოიცავს. არსებითი ცვლილებები მომხსენებელმა წარმოადგინა. ვინაიდან ჩვენი რეკომენდაციები გათვალისწინებულია პროგრამების მატებასთან დაკავშირებით, მხარს ვუჭერ და მისაღებია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, დავით ჭელიძე, ლევან ჯაფარიძე, ავთანდილ ცინცაძე, დავით რურუა, შალვა ოგბაიძე - (6), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - მარინა დათუკიშვილი (1).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად მხარი დაუჭირა:

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

დედაქალაქში სპორტული ინფრასტრუქტურის (თბილისის მინი სტადიონები) საკანონმდებლო ჩარჩოს მოწესრიგების მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ მოკვლევის დაწყების თაობაზე საკითხი, რომელიც წარმოადგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩაკვეტაძემ.

გიორგი ჩაკვეტაძე: თბილისში 700-მდე მინი სტადიონია, რომელთა ზუსტ ინვენტარიზაციას ვაკეთებთ შესაბამის სამსახურებთან ერთად. ასევე დონორებთან გვაქვს კომუნიკაცია, რომ შესაბამისი კვლევები გაკეთდეს შემდეგი მიმართულებებით: რა სტანდარტების სტადიონები უნდა გაკეთდეს, როგორ განხორციელდეს მათი მოვლა-პატრონობა, სად უნდა აშენდეს და სად არა.

შეიძლება აღნიშნულთან დაკავშირებით კონკრეტული აქტი არ მივიღოთ, მაგრამ კომისიის ფარგლებში გავწიეთ გარკვეული სამუშაო და ვაპირებთ, კვლავ გავაგრძელოთ პროცესები, ვიდრე საბოლოო შედეგს არ მივაღწევთ. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ევროპულ ხარისხს და სტანდარტს ჩვენც ავუწყოთ ფეხი. საჭიროა თანამედროვე სტადიონის მშენებლობისთვის სტანდარტების და მოვლა პატრონობის მექანიზმის მერიასთან და ფედერაციებთან ერთობლივი შემუშავება. აღნიშნულთან დაკავშირებით, სხვადასხვა უწყებასთან გვაქვს კომუნიკაცია.

აზრი გამოთქვეს:

შალვა ოგბაიძე - აღსანიშნავია, რომ სტადიონების დახაზვა აღარ მიმდინარეობს, ასევე შემდგომ ხდება განათების და გამწვანების კომპონენტების დამატება და პროექტის დასაწყისშივე არ ხდება აღნიშნულის გათვალისწინება. არსებული სტადიონები აჩენენ მიზიდულობის ცენტრებს და სასურველია მოეწყოს გარე დასაჯდომიც.

ირაკლი გვილავა - მოგეხსენებათ, რომ მინი სტადიონების მშენებლობა რაიონულ გამგეობებს აქვთ განაწილებული და უშუალოდ საქალაქო სამსახური არაა შემსრულებელი, მაგრამ კარგი იქნება ერთიანი სახე მიეცეს. აღნიშნული სტანდარტის შემუშავებით სამომავლოდ უფრო კარგად გახვითარდება ძასობრივი სპორტი და ძეტი ახალგაზრდა ბეძლებს კომფორტულ პირობებში ვარჯიშს. წლების შემდეგ კი ჩვენს მიერ მიღებული სტანდარტებიც ეტაპობრივად დაიხვეწება და მათშიც შევა ცვლილებები.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო დედაქალაქში სპორტული ინფრასტრუქტურის (თბილისის მინი სტადიონები) საკანონმდებლო ჩარჩოს მოწესრიგების მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ მოკვლევის დაწყების თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაცია.

მოისმინეს:

მიმდინარე საკითხები - არსებული პროექტების პრეზენტაცია კომისიას გააცნო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა **ირაკლი გვილავამ.**

ირაკლი გვილავა - 2019 წელს განხორციელდება მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზა და მშენებლობის დაწყება. ვარკეთილის მულტიფუნქციური ცენტრის პროექტი მივიღეთ სამხარაულის ბიუროდან ხარჯთაღრიცხვით, რომელიც რამდენჯერმე შესწორდა და დაკორექტირდა 12 000,0 ათასი ლარის ფარგლებში. დასრულდა მიღება ჩაბარება და ერთი კვირის განმავლობაში გამოცხადდება სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით ტენდერი, რომელიც იქნება მკაცრი და კომპანიებსგან მოვითხოვთ მაქსიმალურ გამოცდილებას და კვალიფიკაციას. მშენებლობას ზედამხედველობას გაუწევს დამპროექტირებელი კომპანია, რომელიც სრულად იქნება ჩართული აღნიშნული კუთხით. მშენებლობა უნდა დასრულდეს წელიწადსა და ექვს თვეში.

დიდი დიღმის მულტიფუნქციურ ცენტრთან დაკავშირებით მიმდინარეობს სამხარაულის ბიუროში შესაბამისი სამუშაოები და ველოდებით მათ დასრულებას.

ამ ეტაპზე ასევე მიმდინარეობს ისეთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორიცაა: საბურთალოს ჩოგბურთის კორტების რეაბილიტაცია, ვაკის პარკში არსებული ჩოგბურთის კორტების რეაბილიტაცია, წყნეთში სპორტული დარბაზის სამშენებლო სამუშაოები და აღჭურვა, ლილოს დასახლებაში არსებული სპორტული ცენტრის ტერიტორიაზე აუზის

მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცის შეძენა და მშენებლობის დაწყება, ააიპ ქ. თბილისის მერიის ფეხბურთის სპორტული ცენტრი "იმედი"-ს სარემონტო სამუშაოები, ლადო ასათიანის ქუჩა N50-ში მდებარე სპორტული დარბაზის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა, ააიპ ქ. თბილისის მერიის ვ.კაჭარავას სახელობის ფრენბურთის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრის სარემონტო სამუშაოები, ა(ა)იპ "ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრი"-ს ჩოგბურთის კორტების რეაბილიტაცია და ვარკეთილში რაგბის მოედნის მშენებლობა.

გარდა ამისა, ქვეპრიოგრამის ფარგლებში, მიმდინარე წელს, გათვალისწინებულია საბურთალოს ჩოგბურთის კორტების რეაბილიტაცია, ვინაიდან კორტების ტერიტორიის ნაწილის მონაცვლეობის საკითხი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, მიმდინარე წელს ვერ ხერხდება აღნიშნული კორტების სრული რეაბილიტაცია. შესაბამისად, კორტების რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი თანხიდან 490, 0 ათასი ლარი გადავა ქვეპროგრამაში „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ ხოლო, 100,0 ათასი ლარი მოხმარდება ლადო ასათიანის ქუჩა N50-ში მდებარე სპორტული დარბაზის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენას.

აზრი გამოთქვეს:

მარიკა დათუკიშვილი - დაინტერესდა სამგორის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლთან დაკავშირებით რა მდგომარეობაა ამჟამად, რაზეც მომხსენებელმა ამომწურავი პასუხი გასცა. ამ ეტაპზე, ტენდერია გამოცხადებული და წლის ბოლოსთვის დასრულდება სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე